გურიიდან ჰუმანიტარული ტვირთი თბილისში გაიგზავნა

გურიიდან ჰუმანიტარული ტვირთი „ტრაილერის“ ტიპის სატვირთო ავტომანქანით თბილისში 17 ივნისს გაიგზავნა, რომელიც საყოფაცხოვრებო ნივთებით, ჰიგიენური საშუალებებით, ტანსაცმლით, არამალფუჭებადი საკვებითა და წამლებით იყო დატვირთული. გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის გია სალუქვაძის გადაწყვეტილებით, რეგიონის ყველა საკრებულოში, მერიასა და გამგეობაში სპეციალური შტაბები შეიქმნა,

გვ-2

გურია კომფორტული და ადაპტირებული ავტობუსებით სრული მასშტაბით აღიჭურვება

გასულ პარასკევს, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გურიის მხარეში გია სალუქვაძე, მოადგილეებთან ქეთი მოისწრაფეშვილთან და სოსო ერქომაიშვილთან ერთად, **HIGER**-ის წარმომადგენელს ანდრეი იანგს შეხვდა.

HIGER ჩინეთში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმაა, რომელიც მაღალკვალიფიციურ და მაღალი გამტარობის მუნიციპალურ ტრანსპორტს აწარმოებს. ფირმის წარმომადგენელი გუბერნატორს ტრანსპორტის ტექნიკურ მახასიათებლებზე ესაუბრა და მხარის ინფრასტრუქტურაზე მორგებული მუნიციპალური ტრანსპორტის სხვადასხვა მოდელის ვარიანტები შესთავაზა.

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, საზოგადოებრივი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრობლობას აპირებს. ამ ეტაპზე მხარეები მოლაპარაკების სტადიაში არიან. შეთანხმების შემთხვევაში, გურია კომფორტული და ადაპტირებული ავტობუსებით სრული მასშტაბით აღიჭურვება.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №25 (10115), 22 ივნისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

მოლიანში ხვნა-თესვა დასრულდა

ალიონი. გასულ ხუთშაბათს მოლიანში ხვნა-თესვა დასრულდა. შემოქმედელებმა 300 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე დათესეს სიმინდი. შპს „მექანიზატორთან“ დადებული ხელშეკრულებით ქვემოიჯვარე კუკური ბაბილოძემ, შვილთან ლაშასთან და ზურაბ შუკაკიძესთან ერთად 3 „ბელარუსით“ დაასრულეს ხვნა-თესვის სამუშაოები. ხვნა-თესვა ასევე დასრულეს მეზობლებმა ცხემლისხიდელმა, ვაკიჯვრელმა, კონჭკათელმა, ნატანებელმა ფერმერებმა.

– შპს „მექანიზატორიც“ დაგვეხმარა, მაგრამ კონტრაქტორმა კუკური ბაბილოძემ ამ სამი „ბელარუსით“ დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულა. წლებია ამას აკეთებენ. 600 შემოქმედელის ოჯახში შევა წელს აქ მოწეული მოსავალი. სასოფლო-სამეურნეო ბარათით კი მოიხნა, მაგრამ 100-მდე ოჯახი იყო ისეთი, რომლებსაც დადისკვა-თესვისთვის საჭირო თანხა არ გააჩნდა. ყველას დავუთესეთ, – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემოქმედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბესო ლომინაძემ.

დაბა ლაითურიდან მოლიანამდე და შემდეგ შემოქმედის ფართობების ბოლომდე 10 კმ მანძილია. ამ მანძილზე ბეტონის ბოძებზე ელექტროგადამცემი კაბელია გაჭიმული და მოლიანის ტერიტორიაზე მდებარე 12 ფერმერულ მეურნეობას მიეწოდება ელექტროენერგია.

ეს ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანუყვაძის დამსახურებაა, რომ „ენერგო პრო-ჯორჯიამ“ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და

გვ-2

რიგგარეშე სხდომის რიგიანი და ურიგო საკითხები

ცვლილებები და დამატებები ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს წლევანდელ ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე, საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. კერძოდ: 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის №1234 განკარგულების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 314,8 ათასი ლარი. მოწონებული პროექტის მიხედვით, ბიუჯეტში განხორციელდება ცვლილებები შემდეგ პროგრამულ კოდებზე:

03 01 – საგზაო ინფრასტრუქტურა – გაიზრდება 1062,4 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა); 03 02 02 – ბინათმშენებლობა – 752,8 ათასი ლარით (სხვა ხარჯების მუხლი); 03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები – 448,5 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);

ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით გამოყოფილი თანხა იყო 221,6 ათასი ლარი, აღნიშნულ განკარგულებაში 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულების თანახმად, შეიდა ცვლილება, შემცირდა იგი 170,6 ათასი ლარით.

განკარგულებით საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრა 51,0 ათასი ლარით, კერძოდ:

03 01 - საგზაო ინფრასტრუქტურა გაიზარდა 23,0 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა); 03 02 02 – ბინათმშენებლობა – 8,7 ათასი ლარით (სხვა ხარჯების მუხლი); 03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები –19,3 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

გატარებული ცვლილებების შედეგად, 03 00 პრიორიტეტი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით განისაზღვრა 2 314,8 ათასი ლარით და პროგრამულ ჭრილში ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიიდან ჰუმანიტარული ტვირთი თბილისში გაიგზავნა

სადაც მსურველებს ორი დღის განმავლობაში თბილისში სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების მიტანა შეეძლოთ. ჰუმანიტარულ აქციაში მოქალაქეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები და რეგიონში შემავალი თითქმის ყველა ა(ა)იპ-ი აქტიურად ჩაერთო. თბილისში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების სტრუქტურები პირადი შემოწირულობით 12 000 ლარით დაეხმარებიან, სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე 2000 ლარი უკვე ჩაირიცხა, 10 000 ლარი კი უახლოეს დღეებში გადაირიცხება.

ლანჩხუთიდან თბილისში გასაგზავნმა ჰუმანიტარულმა დახმარებამ სამი ტონა შეადგინა.

აქციაში ჩაერთო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის "ა(ა)იპ" ორგანიზაციები: "სასპორტო სკოლა", "მომავალი", აფთიაქი "გუდფილი" და წითელი ჯვრის ჩოხატაურის ფილიალი, რომლებმაც საკვები პროდუქტები, პირველადი დახმარების მედიკამენტები, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები გაუგზავნეს სტიქიით დაზარალებულ თბილისის მოსახლეობას

თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად შეგროვებული ტვირთი უკვე დედაქალაქშია.

გურიის ყველა მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა სამსახურის მიერ შეგროვებული ტვირთი საგანგებოდ შექმნილ შტაბში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ბეგლარ სიორიძემ ჩაიტანა.

– ვწუხვარ მომხდარის გამო. ერთადერთი რამ, რაც ამ სიტუაციაში დაზარალებულთათვის შეგვიძლია გავაკეთოთ, თანადგომაა. ქალაქ ოზურგეთის მერია მზადაა დაზარალებულ მოქალაქეებს, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დაეხმაროს – განაცხადა ბეგლარ სიორიძემ.

როგორც მერმა აღნიშნა, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილმა შტაბმა გურიას თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

შემოწირულობით დაახლოებით 10 000 ლარს გადარიცხავენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირები, საჯარო მოხელეები, საკრებულოს წევრები, ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები - თბილისში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ფულადი შემოწირულობით დაეხმარება.

ვინაიდან, სტიქიით დაზარალებულებს კვების პროდუქტებით, ტანსაცმლითა და ჰიგიენური საშუალებებით სხვადასხვა კერძო კომპანიები და რეგიონები აქტიურად ეხმარებიან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, დაზარალებულებს დახმარება ფულადი სახით გაეწევა.

სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების პირადი შემოწირულობით დაახლოებით 10 000 ლარი გადაირიცხება.

„ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარების დროულად გაწევაა“

15 ივნისს, ქალაქ ოზურგეთის მერის ბეგლარ სიორიძის ინიციატივით, ქალაქ ოზურგეთის ყველა ა(ა)ი.პ-ის ხელმძღვანელთან საგანგებო შეხვედრა გაიმართა. როგორც ბეგლარ სიორიძემ აღნიშნა, ქალაქის მერია აქტიურად ითანამრომლებს გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილ შტაბთან, რომელიც თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურებისის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით შეიქმნა. შეხვედრაზე დაზარალებულებისთვის დახმარების გაწევასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები განიხილეს.

''სამძიმარს ვუცხადებ ყველა გარდაცვლილის ოჯახს. მართლაც ძალიან დიდი ტრაგედია დაგვატყდა თავს, თუმცა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარების დროულად გაწევაა.'' - აღნიშნა ქალაქის მერმა.

ქალაქის მერიაში შექმნილ საგანგებო შტაბს მერის მოადგილე, კობა დუნდუა ხელმძღვანელობს.

გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში სამრეწველო-ინოვაციური ლაბორატორიების ფორმირების საკითხი განიხილეს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ -საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, მსოფლიო ბანკთან ერთად პროექტს ახორციელებს, რომელიც სამრეწველო-ინოვაციური ლაბორატორიების ფორმირებას ეხება.

აღნიშნული პროექტი 16 ივნისს, გურიის გუბერნატორის მოადგილეებმა სააგენტოს, მსოფლიო ბანკისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს. შეხვედრაზე მხარის ეკონომიკურ პოტენციალზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე ისაუბრეს, რომლებიც ინფორმაციულ, ტექნოლოგიურ თუ ფინანსურ პრომლემებს უკავშირდება. პროექტის განხილვას სტუდენტები, მეცნიერ-გამომგონებლები და ახალგაზრდული არასამთავრობოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და სამომავლო გეგმები დასახეს.

მოლიანში ხვნა-თესვა დასრულდა

შემოქმედელ ფერმერები, რომლებიც აქ ცხოვრობენ, ამ კომპანიის აბონენტები არიან. პატარა სახელოსნო აქვთ და ტრაქტორის დაზიანებულ ნაწილებას აქვე აკეთებენ, - გვეუბნება სოფლის რწმუნებული.

აქ მდებარე 12 ოჯახური ფერმის 500-მდე ფური, ხბო მწყემსებთან ერთად ახლა კურორტ გომისმთის მიმდებარე ლომისკარავზე არიან. იქ მოლიანში კი თბილისში მომხდარი ტრაგედიით შეწუხებული ტრაქტორისტები ბოლო ხნულს ავლებდნენ წვიმისგან შეწუხებულ მინდორზე.

ორიოდ სიტყვით აქაური ფერმერების შესახებ. ისინი ძირითადად აქ ცხოვრობენ. ზაფხულობით კი გომისმთაზე არიან. ნუგზარ ლომთაძე, ნოდარ არველაძე, ბესო ლომინაძე, მამია მენაბდე, ვენგო მდინარაძე და სხვა ფერმერები დღეს მოლიანში უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე 2 წლის წინ იყვნენ. იღებენ სატელევიზო გადაცემებს, აქვთ სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

პრობლემა აქაც მგლებია. კავკასიურ ნაგაზ „სანდოს“ პატარა ლეკვები ჰყავს და მგლებისთვის ვერ მოიცალა. გასულ კვირაში მტაცებელმა ნოდარ არველაძის პირუტყვი დაგლიჯა....

„აგროჰოლდინგ გურიას“ მშენებლობის საკითხი განიხილეს

გურიის მხარეში 200 ჰა მიწის ნაკვეთზე აგროსექტორის შექმნა, 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია და დასაქმება: – ეს ის თემებია, რომელიც 16 ივნისს სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს. სახელმწიფო რწმუნებუ-ლმა-გუბერნატორმა, გია სალუქვაძემ, „ჯორჯიან ბელარუს ბიზნეს ჯგუფის“ წარმომადგენლები მოადგილ-ეებთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად მიიღო. პროექტ „შავი ზღვის მარგალიტის“ ფარგლებში დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, აგროსექტორის ნაწილისა და ბიზნესზონის შექმნა. საფონდო ბირჟის, A კატეგორიის ბანკისა და IT ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრის განთავსება. კომპანიის წარმომადგენელთა ინტერესს მხარის იმ პროექტში ჩართვა წარმოადგენს, რომელიც აჭარაში ხორციელდება. მხარის პირველმა პირმა, თავის მხრივ კეთილი ნება გამოხატა და დაინტერესებულ ინვესტორებს, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა. „მინდა სრული მხარდაჭერა აღვუთქვა „ჯორჯიან ბელარუს ბიზნეს ჯგუფის“ კომპანიასა და მის წარმომადგენლებს, რომლებიც ძალიან წარმატებულ საქმიანობას ეწევიან. მისასალმებელია, რომ გურიაში 100 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციის ჩადება და უამრავი ადამიანის დასაქმება იქნება შესაძლებელი. რეგიონში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მხარის ეკონომიკური კუთხით განვითარებას,“– განაცხადა გია სალუქვაძემ.

„ჯორჯიან ბელარუს ბიზნეს ჯგუფის“ ხელმძღვანელი არჩილ დოლიძე გია სალუქვაძეს მადლობას უხდის:

„მთელი ჩემი კარიერის მანძილზე არა ერთ საჯარო სამსახურის მაღალი თანამდებობის პირთან თუ ჩინოვნიკთან მქონია სამსახურებრვი კვეთა. თუმცა იშვიათად შემხვედრია ბ-ნ გიას მსგავსი ადამიანი -გუბერნატორი იშვიათი კაცი, რომელსაც ასე სტკივა თავისი ქვეყნის ბედი, აქვს ჯანსაღი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. მინდა, მადლობა გადავუხადო მას პროექტისადმი დიდი ინტერესის გამოვლენისათვის.“

რიგგარეშე სხდომის რიგიანი და ურიგო საკითხები

03 01 – საგზაო ინფრასტრუქტურა – 1085,4 ათასი ლარი; 03 02 02 – ბინათმშენებლობა – 761,5 ათასი ლარი; 03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები – 467,9 ათასი ლარი.

წლევანდელი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების გეგმაში გამოთავისუფლდა 370,0 ათასი ლარი.

ცვლილებებია 2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაში; განათლების, კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდულ და სპორტული ღონისძიებებათა პრიორიტეტების პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, კერძოდ:

01 01 – ქალაქ ოზურგეთის საკრებულო – შემცირდება 120,0 ათასი ლარით: შრომის ანაზღაურება – 35,0 ათასი ლარით; საქონელი და მომსახურება – 15,0 ათასი ლარით. 01 02 – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია – 160,0 ათასი ლარით: შრომის ანაზღაურება – 150,0 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება – 10,0 ათასი ლარით.

04 01 – სკოლამდელი განათლების დაფინანსება შემცირდება 70,0 ათასი ლარით: სუბსიდია – 70,0 ათასი ლარით. 05 01 01 – სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდება 10,0 ათასი ლარით: საქონელი და მომსახურება – 10,0 ათასი ლარით. 05 02 01 – კულტურის ღონისძიებების დაფინანსება შემცირდება 10,0 ათასი ლარით: საქონელი და მომსახურება – 10,0 ათასი ლარით.

გატარებული ცვლილებების შედეგად 03 00 პრიორიტეტი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

03 01 – საგზაო ინფრასტრუქტურა გაიზარდება 79,0 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა); 03 02 02 – ბინათმშენებლობა – 55,0 ათასი ლარით (სხვა ხარჯების მუხლით); 03 02 04 – კეთილმოწყობის სამუშაოები – 236,0 ათასი ლარით (საქონელი და მომსახურება – 23,5 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა – 212,5 ათასი ლარით).

სხდომაზე მიიღეს განკარგულება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე..

დამტკიცებული გეგმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ წარედგინება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

25-წლიანს აპროტესტებდნენ და 35-წლიანი მიიღეს



დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ მას უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, საკრებულოს პოზიციონერ და ოპოზიციონერ დეპუტატებს შორის დავა, ალბათ, შემდეგშიც გაგრძელდება.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქის მერს თანხმობა მიეცა შპს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრის (ს/კ 237079610, 100% წილის მესაკუთრე სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ქონებიდან (მდებარე ქ. ოზურგეთი, გურიის ქუჩა, ს/კ 26.26.48.270) 5982კვმ მიწის ფართიდან 4400 კვ. მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პირობებიანი საჯარო აუქციონის ფორმით, ოჯარით (სარგებლობის უფლებით) გაცემის შესახებ.

თავიდან 25 წლის ვადით გაცემაზე იყო საუბარი. ოპოზიციონერი დეპუტატების აზრით, საერთოდ არ დგას ამ ფართის ასე ნაჩქარევად გაცემის აუცილებლობა, თანაც არ არის გათვალისწინებული იქ მომუშავე თანაქალაქელების ბედი და პირობები.

საკითხზე განსხვავებული ხედვები წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავამ. მისი აზრით, გაცილებით უპრიანი იქნება ამ მიწის ფართის უფრო ხანგრძლივი ვადით გაცემა და დასვა საკითხი, ცალკე ეყარათ კენჭი არა 25, არამედ 35 წლის ვადით გაცემაზე. საბოლოოდ, დეპუტატთა უმრავლესობამ ბიგვავას წინადადებას დაუჭირა მხარი.

ქალაქ ოზურგეთში 20 მოსაცდელი და 100 სანაგვე ურნა განთავსდება

ქალაქ ოზურგეთში მოსახლეობის მომსახურების დონის გაუმჯობესებისა და ტურისტული სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში 20 ერთეული მოსაცდელი და 100 ერთეული სანაგვე ურნა განთავსდება. სამუშაოების მთლიანი საორიენტაციო ღირებულება 118 ათასი ლარით არის განსაზღვრული.

ქალაქის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მომზადებულ ამ საკითხს საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. წინააღმდეგი წავიდნენ ოპოზიციონერი დეპუტატები ლევან მგელაძე, თამარ ნადირიძე და გოჩა ძიმისტარიშვილი.

მგელაძის თქმით, ჯერ მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა შეეძინათ, როგორც იყო გადაწყვეტილი და შემდეგ უნდა ეზრუნათ მოსაცდელების მოწყობაზე, თანაც, მისი აზრით, ქალაქში 20 მოსაცდელი მეტისმეტია, ხუთიც საკმარისი იქნება.

ახალი სპორტკომპლექსი 37 110 ლარის ღირებულების ინვენტარით აღიჭურვება

ხანგრძლივი კამათის საგანი გახდა მერაბ წივწივაძის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი მეორე საკითხიც: რუსთაველის ქუჩა №28-ში მდებარე სპორტკომპლექსისათვის (რომლის ექსპლოატაციაში გაშვება იგეგმება უახლოეს მომავალში) საჭირო ინვენტარის შესაძენად სავარაუდოდ 37 110 ლარამდე გამოყოფის შესახებ.

ოპოზიციონერ დეპუტატებს აინტერესებდათ, ვის ეკუთვნის ეს კომპლექსი, ვის ჩაბარდება იგი, რომელიმე მოქმედ სპორტულ ა(ა)იპ-ს თუ კიდევ ერთი ახალი ა(ა)იპ-ის გახსნა იგეგმება. მართალი გითხრათ, ამ საკითხის განხილვისას, დეპუტატებმა პოლიტიკური დებატის ძალიან დაბალი დონე გამოავლინეს, ერთმანეთს ბოლომდე არც კითხვის დასმას აცლიდნენ და არც პასუხის გაცემას. შედეგად მედიის წარმომადგენლებისთვის ზოგი რამ ბუნდოვანი დარჩა.

კენჭისყრით გადაწყდა, რომ ახალი სპორტული კომპლექსისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა შესაბამისი თანხა.

მიაწოდეთ საკრებულოს თქვენი მოსაზრებები

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე ყოფილი საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მაისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2015 წლის არაუგვიანეს 6 ივლისი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ამ საკითხზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარადგინონ 2015 წლის 30 ივნისამდე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას №1 (პასუხისმგებელი პირი ზაზა შოშიტაიშვილი **ozurgeti. gov.ge**).

სპეცავტომობილი „ფორდი“ „თვითმმართველი ქალაქი - ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრს“ მიანათხოვრეს

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალური ავტომობილი (**FORD TRANZIT 350 L s/n WFOAXXGBFAYK72159**) თხოვების ფორმით, 5 წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქი – ქალაქ ოზურგეთის სერვისცენტრს“

დროებით სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა, გამარჯვებულის ჰონორარი კი 500 ლარით გაიზარდა

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ერთი თვით გაუგრძელა უფლებამოსილების ვადა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს. ხსენებული ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 17 ივნისიდან 17 ივლისამდე.

ცვლილებებია ასევე, გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით, კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. ოზურგეთის საკრებულოს 2015 წლის 20 თებერვლის №26 განკარგულებაში.

საკონკურსო პროექტის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 8 ივლისი, შედეგები უნდა გამოცხადდეს 2015 წლის 15 ივლისს. კონკურსში გამარჯვებისათვის დაწესებული ჰონორარი კი 1500 ლარია, ნაცვლად 100 ლარისა.

გოჩა ძიმისტარიშვილს საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დაატოვებინა

17 ივნისს ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა: ამ სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ გელა კობალაძემ საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, გოჩა ძიმისტარიშვილს, დეპუტატის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, სხდომა დაატოვებინა.

გოჩა ძიმისტარიშვილი „პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო. 10 ივნისს ის კახა კუკავას „თავისუფალი საქართველოში“ გაწევრიანდა და რაიონულ ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში.

ყოფილი კაფე „ნიკალას“ ფართი იჯარის უფლებით, 10 წლის ვადით „ლიბერთი ბანკს“ გადაეცემა

საკრებულოს განკარგულებით, ქალაქ ოზურგეთის მერს მიეცა თანხმობა, მისცეს ნებართვა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი-სურათების გალერეას“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შ. რუსთაველის ქუჩა №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობის 469,0 კვადრატული მეტრი ფართიდან 118 კვადრატული მეტრი ფართი (ყოფილი კაფე „ნიკალა“) ოჯარის უფლებით, 10 წლის ვადით, უზურფრუნტით გადასცეს სს „ლიბერთი ბანკს“.

ოჯარით მიღებული შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოღვაწე შემოქმედი პროფესიონალების სტიმულირებასა და დარგის განვითარების ხელშეწყობას.

მგელაძეს ნადირიძე ჩაენაცვლა

ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარის პოსტზე დამოუკიდებელ დეპუტატ ლევან მგელაძეს თამარ ნადირიძე ჩაენაცვლა „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოდან“.

ამ გადაწყვეტილებას საკრებულოს 17 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომას მიდევნებულ ტრადიციულ ბრიფინგზე

ალიონი. სხდომას მიდევნებულ ტრადიციულ ბრიფინგზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ დეპუტატებმა ლევან მგელაძემ და თამარ ნადირიძემ ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვად შეაფასეს ქალაქის ბიუჯეტიდან 20 მოსაცდელისა და 100 სანაგვე ურნისათვის თანხების გამოყოფა:

„ეს არის ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. ჩვენ ვიცოდით, რომ მუნიციპალური ტრანსპორტი უნდა შეეძინათ. თუ ტრანსპორტი არ არის, მოსაცდელი რა საჭიროა. ეს იმას ჰგავს, აუზს რომ აგიშენებენ და გეტყვიან, თუ ჭკუით იქნები, წყალს ჩაგისხამთო. თუ ასე აუცილებელია ეს

მოსაცდელები, ჩვენი აზრით, 5- 6 სავსებით საკმარისია სარაიონთაშორისო ტრანსპორტისათვის.

რაც შეხება ახალ სპორტულ კომპლექსს, არ არის განსაზღვრული მისი ფუნქცია, არავინ იცის, რა განთავსდება შიგ, 37 110 ლარის ღირებულების შესაძენ ინვენტართა ჩამონათვალში ისევ გამოჩნდა ბილიარდის მაგიდა. მე ვფიქრობ, რომ ახლა ამ გზით ცდილობენ თავს მოგვახვიონ საბილიარდოს გახსნის ინიციატივა, – თქვა ბრიფინგზე ლევან მგელაძემ.

ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ ახალი თავმჯდომარის თამარ ნადირიძის თქმით, ქალაქის მერმა, როგორც კი მოვიდა, ბაზრის ტერიტორიები თავისიანებზე გაასხვისა. ახლა იგეგმება დარჩენილი 5500 კვადრატული მეტრიდან 4400 კვადრატული მეტრი ფართის გასხვისება:

„საუბარია პირობით აუქციონზე და ამ პირობას ვერ ვიგებთ ჩვენ. არ ითვალისწინებენ არც ჩვენს და არც სამოქალაქო საზოგადოების აზრს, რადგან განსხვავებული აზრის იგნორირებით ადვილია ნებისმიერი საკითხის მიღება. მოკლედ, დღეს ძალიან დიდი პრობლემების წინაშე დგას ჩვენი ქალაქი. თუ ასე გაგრძელდა იძულებული ვიქნებით, მივმართოთ ადეკვატურ ზომებს, არ დავვესწრებით საკრებულოს სხდომებს, სადაც ჩვენი მოსმენა არ უნდათ“, – განაცხადა თამარ ნადირიძემ.

ფრაქციის მესამე წევრი ნათია შარაშენიძე, ავადმყოფობის გამო არც საკრებულოს სხდომაზე გამოცხადებულა და არც ბრიფინგზე.

ფერმერთა საყურადღებოდ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური აცხადებს კონკურსს მეცხოველეობის დარგში ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების მთესლავ-ტექნიკოსის სპეციალობაზე. სტაჟირება ჩატარდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოცდილი ვეტექიმების **თამაზ კილაძისა**

და **ნუგზარ გოგიტიძის** მიერ, შემდგომში წარმატებული სტაჟიორები კვალიფიკაციას

აიმაღლებენ კომპანია „კავკასიის გენეტიკაში“ და საზღვარგარეთ. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში მთესლავ-ტექნიკოს-სპეციალისტებს მიეცემათ სერთიფიკატები და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით.

დაინტერესებულმა პირებმა გასაუბრებაზე მიმართონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურს.

მისამართი: ქ. ოზურგეთი.კოსტავას ქ. №1 სართული 1.

ტელ: 599519160

განსხვავებული აზრის ან პოზიციის დაფიქსირებას არ შეიძლება შეურაცხყოფითა და უკიდურესი უპატივცემულობით უპასუხო

ცნობილია, რომ ოზურგეთის საზოგადოება გამოირჩევა მაღალი ინტელექტით, მაღალი კულტურით, განათლებით, შრომისმოყვარეობით, იუმორით და კიდევ ბევრი სხვა დადებითი თვისებით. დასანანია, რომ ასეთი საზოგადოების საკრებულოს ზოგიერთი დეპუტატი აჩვენებს უკიდურესად დაბალ პოლიტიკურ კულტურას. ეს არის ყველაზე მსუბუქი შეფასება, რაც შეიძლება ეწოდოს დეპუტატ გოჩა ძიმისტარიშვილის არაეთიკურ, შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ გამოთქმებს და ქცევებს კოლეგებისა და დეპუტატების მიმართ (და არა მარტო), განსაკუთრებული აგრესიულობით კი პირადად ჩემს მიმართ. ასეთი ლექსიკის გამოყენება არ ეკადრება არა თუ დეპუტატს, არამედ ნებისმიერ ზრდილობიან და განათლებულ ადამიანს. სამწუხაროა, რომ შესაბამის პუბლიკაციებში ზოგიერთი გაზეთი და ჟურნალისტი თავს აჩვენებს, როგორც მხარე. თავი რომ დავანებოთ, რომ ბატონი გოჩას მიერ გამოყენებული ზოგიერთი ტერმინი დასჯადია, ის არღვევს ადამიანის უფლებათა ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს, რამდენადაც აზრისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი. ბატონი გოჩა ქადაგებს, რომ ის დაიცავს მოსახლეობის ინტერესებს და კანონიერ უფლებებს მაშინ, როცა პირადად არღვევს ან არ იცავს მათ. კრიტიკა, ბუნებრივია, დასაშვები და აუცილებელიც არის საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მაგრამ განსხვავებული აზრის ან პოზიციის დაფიქსირებას არ შეიძლება შეურაცხყოფითა და უკიდურესი უპატივცემულობით უპასუხო.

ამავე დროს მინდა გამოვეხმაურო ინტერნეტსა და პრესაში ბატონი გოჩას მიერ გავრცელებულ აბსოლუტურად არასწორ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მე თითქოს „პატრიოტთა ალიანსის" ხელმძღვანელობა სპეციალურად მიმითითებდა „ქართული ოცნებისათვის" მხარდაჭერას, ხოლო მას ემუქრებოდნენ პარტიიდან გარიცხვით თუ მხარს არ დაუჭერდა „ქართულ ოცნებას". ეს არის სრული სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. მინდა შევახსენო ბატონ გოჩას, რომ საკრებულოში არჩევის პირველი დღეებიდანვე თვეების განმავლობაში ის ნამდვილად ქადაგებდა „ოცნებისათვის" მხარდაჭერას; შემდეგში, მოულოდნელად შეცვალა რა თავისი დამოკიდებულება, ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი უცებ მისი მტერი გახდა.

სამწუხაროდ, მსგავსი სიცრუე ბატონი გოჩას არაერთ პუბლიკაციაშია, რომლებზეც რეაგირებას არ ვაკეთებ. იმის მაგივრად, რომ მინიმუმ უხერხულობას მაინც გრძნობდეს, პირიქით, სასამართლოთი მემუქრება.

ნებისმიერ პიროვნებას შეიძლება შეექმნას ცხოვრებაში რაიმე რთული მომენტი, მაგრამ ადამიანს იმიტომაც ჰქვია ადამიანი, რომ მან შეძლოს სირთულეები ღირსეულად გაიაროს. მით უმეტეს, არ უნდა ლანძღო ის პარტია, ბატონო გოჩა, რომელსაც, როგორც აცხადებთ, ბევრი ძალა და ენერგია შეალიე და რომელმაც პოლიტიკოსის წოდება პირველად მოგცათ.

ნანული ორაგველიძე,
ფრაქცია „ჩვენი ქალაქის“
თავმჯდომარე

ვფიქრობ, ამ მასალებს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო უნდა გაეცნოს

ალიონი. გაზეთ „ალიონის“ 15 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერთან ნუგზარ გიორგაძესთან, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისას „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ დიდი მოცულობის ე.წ. „სპეც სიები“ გაგვაცნო. პირველი ინტერვიუს გამოქვეყნებას საკმაოდ მძაფრი რეზონანსი მოჰყვა. ზოგის აზრით, მერე რა მოხდა, რა ექნათ, სამსახურები ჰქონდათ. ეს ხალხი იმჟამინდელი მმართველი პარტიის დავალებებს ასრულებდნენ... არის საპირისპირო აზრიც - საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ იყო ე.წ. „ზონდერი,“ ან რა სახის სხვა სპეცდავალებებს ასრულებდნენ ისინი.

ნუგზარ გიორგაძე სიების გამოქვეყნების გაგრძელებაზე ასე ფიქრობს: „დღეს საქართველოში თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ ისეთ დღეში ჩააგდო საზოგადოება, რომ ამ ეტაპზე ასეთ თემებზე საუბრისაგან თავი უნდა შევიკავოთ. პირიქით, ერთმანეთის გვერდით დგომა გვმართებს. საერთოდ კი, ვინც წარსულს ივიწყებს, იმას მომავალიც არ აქვს. ვფიქრობ, ამ მასალებს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო უნდა გაეცნოს. მათ უნდა იცოდნენ, რა ხდებოდა რეგიონებში, როგორ მოვიდა ეს ხალხი ხელისუფლებაში სამხარეო თუ მუნიციპალურ სამსახურებში. ამჟამად ამ სიების, ფოტო და სხვა მასალების გაშიფრვაზე ინტენსიურად ვმუშაობთ და ადგილობრივი მედიის საშუალებით საზოგადოებას ყველა იმათ საქმიანობის შესახებ მივაწვდით ინფორმაციას, რომლებიც დღეს სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობენ. ეს მასალები მარტო ოზურგეთს არ მოიცავს.“

ჩვენი პატარა სოფლის დიდი მეგობარი



ბაილეთი ერთ-ერთი ლამაზი სოფელია გურიაში არა მარტო ბუნებით, არამედ შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებითაც. ისე, როგოც ყველა სოფელს, ბაილეთსაც თავისი ისტორია აქვს. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ თვალსაჩინო ადამიანები: დიდი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ბელეტრისტი იასე რაჭველიმეხუზლა; მწერალი, პოეტი, მსახიობი, მომღერალი ლიდია მამულაიშვილიმეგრელიძე, ცნობილი ლოტბარის აქვსენტი მეგრელიძის მეუღლე; სოფლის სკოლის საფუძვლის ჩამყრელი, აღმშენებელი და პირველი დირექტორი ქეთევან თავზარაშვილი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კოტე მამულაშვილი; სახელმოხვეჭილი მეცნიერები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერმანე ზაქარიაძე; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიასე ზაქარიაძე; შრომის გმირები – ზინა ბაჯელიძე, ათანასე ზაქარიაძე და მრავალი სხვა.

სწორედ ამ ადამიანების საზოგადოებაში წარმოჩენით დაიწყო ჩვენი სოფლის ისტორიის შესწავლა საქართველოს გმირული ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, აკადემიკოსმა ბატონმა იური სიხარულიძემ, რომელმაც, სოფელში მუზეუმის შექმნის ორგანიზატორთან და შემდეგ მის გამგესთან შოთა ზაქარიაძესთან ერთად, ამ ხალხის ბიოგრაფიები და მოღვაწეობის ამსახველი სხვა მასალები მუზეუმში განათავსა. მათთან ერთად ვმუშაობდი პირადად მეც.

სამწუხაროდ, მუზეუმი, ცნობილი მოვლენების გამო, განადგურდა.

მიუხედავად ამისა, ბატონ იურის დღესაც არ ავიწყდება სოფელი ბაილეთი და შესაძლებლობისამებრ მონაწილეობს მის საქმიანობაში, ჭირსა და ლხინში. ძალიან უბრალო, თავმდაბალი, გულთბილი და სიკეთით სავეს ადამიანი

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. მასთან ურთიერთობა და მეგობრობა, მართლაც ნამდვილი სკოლაა, აკადემიაც.

ბატონი იური სიხარულიძე კრისტალურად სუფთა პიროვნებაა, პატიოსნების განსახიერებაა, იგი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ქართული ისტორიისა და კულტურის წარმოჩენის საქმეში. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს თავისი ოჯახისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ამირან მამულაიშვილი,
სწავლული აგრონომი,
ჟურნალისტი, შრომის ვეტერანი.

ჩვენ გვწერენ

მოხედეთ ბოხვაურს

სოფელი ბოხვაური ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მშვენებითა და კულტურით. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა სოფლის ცენტრში ორსართულიანი უნივერმაღი და სასურსათო მაღაზია იდგა, ფუნქციონირებდა სოფლის ადმინისტრაციული შენობა, კლუბი, საექიმო უბანი, ფოსტა, სამკერვალო, ბიბლიოთეკა, აბანო, ბაგა-ბაღი და სასადილო. დღეს, სამწუხაროდ, ამ ჩამონათვალიდან თითქმის ყველა ნანგრევებად არის ქცეული, აქაურობა „სულთნაბრძოლს“ ჰგავს. მხოლოდ ორი შენობაღა ამშვენებს და უხდება ბოხვაურს – არაჩვეულებრივად ნაგები სკოლა და ღვთის სახლი – ტაძარი, რომელიც ჯვარს სახავს და იცავს სოფელს.

პრობლემებს გვიქმნის აქვე გამავალი მდინარეც, რომელიც თითქმის ყოველ გაწვიმებაზე იხერგება, კალაპოტიდან გადმოდის, ტბორავს არემარეს და აბინძურებს გარემოს.

დავით აღმაშენებლის ქუჩის ბოლოს, ბოხვაურის გადასახვევს რომ ეძახიან, გზა ისეა ამორტიზებული, ტრანსპორტს კი არა, ფეხით მოსიარულეებსაც უჭირთ გადაადგილება. ამ კუთხეში ოჯახებში ბუნებრივი აირი ჯერ კიდევ შეუყვანელია.

იმედია, ამ სავალალო მდგომარეობას გაითვალისწინებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და სოფელ ბოხვაურს დაუბრუნებენ ძველებურ შნოსა და იერს.

ნანა ჯანხოთელი.

გარე ვაჭრობა-პრობლემა, რომელიც ფლებია ვერ გვარდება

მარი კოძოევი

„მომავალში ვაპირებთ შეძლებისდაგვარად აღვკვეთოთ გარევაჭრობა. ჩვენი სურვილია, ყველა ის მოვაჭრე, რომელიც შეუსაბამო ადგილას ეწევა სავაჭრო საქმიანობას, შევიდეს მაღაზიაში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ქალაქი არ იყოს დატვირთული უსახური ჩამოხურულებით და კონსტრუქციებით, რომლებიც დღესაც საკმაოდ არის ოზურგეთში“, – გვითხრა **მამუკა მახარაძემ,** ქალაქ ოზურგეთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარების, მშენებლობის სამსახურის უფროსმა.

– რა პრობლემებს აწყდებით ამ მიმართულებით?

– „რა თქმა უნდა, გარემოვაჭრეებისგან დიდი პრობლემები გვაქვს. მათი სურვილია, რაც შეიძლება გაფართოვდნენ ტროტუარებზე. ვითვალისწინებთ, რომ ყველას თავისი გასაჭირი აქვს, საბანკო ვალები და ა.შ. მაგრამ ისიც არ შეიძლება, ქალაქის ცენტრი გადაიქცეს გარევაჭრობისა და მსგავსი დაწესებულებების საჯირითოდ. ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა ამასთან დაკავშირებით. მთლიანად ვერა, მაგრამ ნაწილობრივ ვახერხებთ პრობლემის მოგვარებას“.

მახარაძე გვეუბნება, რომ ნებისმიერ ახალ ინიციატივას აქვს დადებითი და უარყოფითი გამოხმაურებები საზოგადოების მხრიდან. მისი თქმით, ერთ-ერთი ასეთი საკითხი 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებია.

„აზრთა სხვადასხვაობა ნებისმიერი საქმეს ახლავს თან. რაც უნდა გავაკეთოთ, რაც ჩვენ სწორად მიგვაჩნია და სპეციალისტების მიერაა ჩამოყალიბებული, გვაქვს წინააღმდეგობები. 9 აპრილის ქუჩაზე ხეები მოვჭერით. აუცილებელი იყო მოჭრა, რადგან ხეები ფაქტიურად ტროტუარებზე იდგა, მოქალაქეთა მოძრაობას უშლიდა ხელს და მანქანების სავალ ნაწილზე უხდებოდათ გადასვლა. თან ვაპირებთ ხელახლა დაიწყოს გამწვანების სამუშაოები. მიუხედავად ამისა, საზოგადოების გარკვეული ფენიდან მაინც შეგვხვდა წინააღმდეგობა. ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს, რომელიც დარწმუნებული ვარ, წაადგება ქალაქს, უკეთესს გახდის მის იერსახეს და არქიტექტურულ გარემოს."

მამუკა მახარაძეს იმ სამსახურის საქმიანობაზე ვესაუბრეთ, რომელსაც ხელმძღვანელობს.

„ჩვენი სამსახურის უფლება-მოვალეობაა ზედამხედველობა გაუწიოს მიმდინარე მშენებლობებს, გარე ვაჭრობას, იმ საკითხებს, რაც სივრცით მოწყობასთან და ურბანულ დაგეგმარებასთანაა კავშირში. ყოველდღიურად ვახორციელებთ მონიტორინგს. აღვრიცხავთ დაზიანებულ ხეებს. ასევე შემოდის განცხადებები მოქალაქეებიდან, რომლებიც ითხოვენ თავიანთ ეზოში ხეების მოჭრას. დგება შესაბამისი აქტები და შეძლებისდაგვარად, არის თუ არა მოსაჭრელი იმის მიხედვით, ვაძლევთ ნებართვას ან პირიქით, უარს ვეუბნებით. ჩვენი სამსახურის მიერ დაგეგმარდა 9 აპრილის ქუჩის ძირითადი მიმართულება. მე მგონი ნორმალურად გაკეთდა ყველაფერი, აღნიშნული უბანი ერთ-ერთი საუკეთესოა დღეს ოზურგეთში. ასევე მიმდინარეობს რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ მიმართულებას. მოეწყობა თითქმის ყველა ცენტრალური ქუჩა ტროტუარებით, არხებით, გამწვანებით. ასევე გავცემთ მშენებლობის ნებართვებს. ბოლო ხანს რამდენიმე ახალი ობიექტისთვის გავეცით ნებართვა. ნაწილი დაწყებულია, ნაწილი ექსპლუატაციაშია მიღებული. ძირითადად ამ სამუშაოებით შემოიფარგლება ჩვენი სამსახური."

– როდესაც გეგმავთ სამუშაოებს, აკეთებთ პროექტებს, რამდენად ხდება თქვენს მიერ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება?

– „არის პროექტები, ძირითადად ინფრასტრუქტურული, რომლის შედგენისას იქნა გათვალისწინებული ხალხის აზრი. მოსახლეობის აზრიდან გამომდინარე, შევცვალეთ რაღაცეები. მაგალითად იყო შემთხვევა, არხს შევუცვალეთ მიმართულება. ჩვენ ვითვალისწინებთ მოქალაქეთა აზრს"

ქობულეთის სასპორტო სკოლის ღია პირველობაზე ძიუდოში

ქ. ქობულეთში ჩატარდა სასპორტო სკოლის ღია პირველობა ძიუდოში ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდნენ: ზუგდიდის, ფოთის, ბათუმის, სენაკის, ხობის, ქობულეთის და ოზურგეთის გუნდები.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლიდან 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონი გახდა 55 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ქათამიძე (მწვრთნელი დავით ჩიკაშუა), 45 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გელა ქურასბედიანმა (მწვრთნელი დიმიტრი ტულუში).

2003-3004 წლებში დაბადებულთა შორის მესამე ადგილი დაიკავეს: 40 კგ წონით კატეგორიაში – სბა ცეცხლაძემ (მწვრთნელი დავით ჩიკაშუა), 50 კგ წონით კატეგორიაში - მარიო ქორჩილავამ (მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე)

ძიუდო – ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო ბათუმიდან

13-14 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდა სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ქალაქების, რაიონების ნაკრები გუნდები. აღნიშნულ ღონისძიებაში ოზურგეთს წარმოადგენდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სკოლის გუნდი.

ოზურგეთიდან 2003-2005 წლებში დაბადებულთა შორის 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა სბა ხოზრევანიძემ.

2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის მესამე ადგილები დაიკავეს: 46 კგ წონით კატეგორიაში – გელა ქურასბედიანმა; 55 კგ წონით კატეგორიაში – გოდერძი ქათამიძემ.

მწვრთნელები – დიმიტრი ტულუში, გოჩა ბურჭულაძე და დავით ჩიკაშუა.

გენო ჩხაიძის სახელობის რესპუბლიკურ ტურნირზე

7 ივნისს ხელვაჩაურში ჩატარდა მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონის გენო ჩხაიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1988-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ: 54 კგ წონით კატეგორიაში – ტრისტან ქინქლაძე და 58 კგ წონით კატეგორიაში – იური ნიკოლაიშვილი.

მეორე ადგილი დაიკავა76 კგ წონით კატეგორიაში ლუკა ტატუტაშვილმა. მწვრთნელი – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი.

ქალაქის მერმა აგვისტოს ომის მონაწილეს დანაპირები შეუსრულა

ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ აგვისტოს ომის მონაწილე ირაკლი გოგოლაძეს დანაპირები შეუსრულა.

გოგოლაძემ ქალაქის მერთან პირველი შეხვედრისას აღნიშნა, რომ მკურნალობის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა და ექიმების რეკომენდაციით, მას ესაჭიროება ეტლი.

ქალაქის მერმა ირაკლის ამ საქმეში დახმარება აღუთქვა და დანაპირები შეუსრულა, 16 იანვარს ბეგლარ სიოორიძემ ირაკლი გოგოლაძეს ეტლი საჩუქრად გადასცა.

კურიოზები

X X X

ანასეულში ვმუშაობ, ინსტიტუტის ახალგაზრდობამ გადავწყვიტეთ, წავსულიყავით ექსკურსიაზე აფხაზეთში. დირექციამ გამოგვიყო ავტობუსი და გავემგზავრეთ.

როცა ზუგდიდში შევედით, ვიღაცამ თქვა – მოდი, აქური სულგუნით გავამდიდროთ ჩვენი საგზალიო. ეს აზრი ყველას მოგვეწონა და გავწიეთ ბაზრისაკენ. ავტობუსი ჩრდილში გავაჩერეთ და, რადგან ძალიან ცხელოდა, შაქროს (მძღოლს) ვთხოვეთ, კარი გაეღო. ამ დროს გამოჩნდა ბოშა ქალი – „მარჩიელი, მარჩიელის“ ძახილით, ვერ მოვიშორეთ. ერთმა ჩვენმა, შედარებით უფროსმა ქალბატონმა ხელი გაუწოდა და უთხრა – აი, ჩემი ხელი, გამოიცანი გათხოვილი ვარ თუ არა, სიმართლის შემთხვევაში გარჩევიებთ.

ბოშამ დახედა ხელის გულს და უპასუხა – გათხოვილი ხარ თუ არა, აქ არ იკითხება, მაგრამ „ნახმარი“ რომ ხარ, ეს კი ნამდვილად ჩანსო! და გაიქცა.

ისე ჩავედით სოხუმამდე, რომ ამ ქალბატონს ხმა არ ამოუღია.

X X X

ერთი ჩვენი მეგობარი მარტო ცხოვრობდა. ერთ ღამეს თავს დაესხნენ ქურდები, თავი გაუტეხეს და გაქურდეს. დილით მე და თამაზ სალუქვაძეც მივედით სანახავად. წამოსვლის დროს თამაზმა ქაღალდის ფურცელი მიართვა, რომელზეც ეწერა:

„ღამე კიდევ თუ დაგესხა
ვინმე ავის მნდომი,
იცოდე, თავს გაუფრთხილდი,
მიუშვირე ჯდომი.“

არსენ კეჭაყმაძე.

დღეს საქართველოში მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალების განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი

ალიონი. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში“ რეგიონული მედიის ასოციაციის საანგარიშო კრება გაიმართა. კრებამ ასოციაციის თავმჯდომარის ია ბობოხიძის და აღმასრულებელი დირექტორის მაია მამულაიშვილის მოხსენებები მოისმინა.

კრებაზე გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი კრიტიკულად შეეხო დონორი ორგანიზაციების მიერ რეგიონული მედიის განვითარების ხელშეწყობის თემას.

- უცხოური დონორი ორგანიზაციების მცდელობის მიუხედავად, რეგიონულ მედია წრეზე ტრიალებს. მხოლოდ რამდენიმე მედიასაშუალების მუდმივ განვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. ელემენტარულად რიგი გაზეთები ტრენინგებზე ვერ უშვებენ ჟურნალისტებს. უცხოურმა დონორმა ორგანიზაციებმა ეს უნდა გაითვალისწინონ– აღნიშნა „ალიონის“ რედაქტორმა.

კრებაზე ანგარიშის გარდა, ასოციაციის სტრატეგილი გეგმა განიხილეს და ახალი წევრი მედიასაშუალებები მიიღეს.

რეგიონული მედიის ასოციაცია 2003 წელს შეიქმნა. გაზეთი „ალიონი“ ამ ორგანიზაციის წევრია 2006 წლიდან.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ჩარლზ დარვინი (1809-1882). ადამიანი მთელი თავისი კეთილშობილური თვისებებით, მაინც მიწიერი წარმოშობის მოუშორებელ დაღს ატარებს.

1871 წელს გამოსცა ნაშრომი „ადამიანის წარმოშობა“, რომელშიც მოცემული იყო სხვა არსებებისაგან ადამიანის ევოლუციის იდეა.

დარვინის იდეებს დიდი დრო დასჭირდა საყოველთაო აღიარებისათვის (დღესაც ყველა არ იზიარებს).

მიუხედავად ამისა, ევოლუციის იდეა თანამედროვე ბიოლოგიის კვლევის საფუძველს წარმოადგენს, კაცმა, რომელმაც ცუდი სწავლით იმედები გაუცრუა საკუთარ მამას, საბოლოოდ შემოატრიალა მეცნიერების მთელი დარგი.

ჯეიმს ჯოული (1818-1920). თერმოდინამიკის პირველი კანონის აღმოჩენი ლუდის მხარშავი იყო.

ჯოულმა განსაზღვრა ის, რაც საბოლოოდ თერმოდინამიკის პირველ კანონად გახდა ცნობილი – ენერგიის კონსერვაციის პრინციპი. ეს იყო მისი მუშაობის ბუნებრივი გაგრძელება – ენერგიის ერთი სახიდან მეორეში გარდაქმნის შესაძლებლობა. ჯოული თვლიდა, რომ მსოფლიოს გააჩნია ენერგიის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც არ მატულობს და არც კლებულობს, არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის.



ლუი პასტერი (1822-1895). პასტერის აღმოჩენამ დიდი წვლილი შეიტანა ღვინისა და ლუდის ფერმენტაციის გაუმჯობესებაში.

1862 წელს გამოსცა ნაშრომი „ატმოსფეროში არსებული ორგანიზებული ნაწილაკების შესახებ“, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი დებატებს, სონტანური გენერაციის“ თეორიის შესახებ.

1880 წელს საკუთარი ასისტენტის შემთხვევამ პასტერი ვაქცინების აღმოჩენამდე მიიყვანა. 1885 წელს მან წარმატებით გამოიყენა ცოფის ვაქცინა 9 წლის ბავშვზე, ჟოზეფ მაისტერზე. 1892 წელს ჩაატარა წარმატებული აცრები ჯილეხზე.

გრეგორ მენდელი (1822-1884). მენდელმა, გენეტიკის მამამ, ბიოლოგიის გამოცდაზე ყველაზე დაბალი ნიშანი მიიღო.

1866 წელს მან გამოაქვეყნა „ექსპერიმენტები მცენარეთა ჰიბრიდებზე“.

მიუხედავად იმისა, რომ მენდელმა ვერ მოიპოვა აღიარება საკუთარი ნაშრომისათვის შთამომავლობის შესახებ, მთელი სიცოცხლის მანძილზე მას დიდ პატივს სცემდნენ ეკლესიის მსახურნი და მოქალაქენი. დღეისთვის მენდელი გენეტიკის მეცნიერების მამად ითვლება.

ჟან ჟოზეფ ლენუარი (1822-1900). „როდესაც გავიზრდები, შევქმნი მანქანებს, რომლებიც დამოუკიდებლად იმუშავებენ“.

1859 წელს ლენუარმა დემონსტრირება გაუკეთა ელექტრონული ნაპერწკლით მომუშავე შიდაწვის ძრავას და დააპატენტა 1860 წელს. 1863 წელს მან ძრავა სატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოიყენა. მასვე ეკუთვნის გამოგონება ელექტრონული მუხრუჭისა მატარებლებისთვის (1855), მოტორიანი ნავი (1886) და ტყვის ოზონით დათრიმლვის მეთოდი.

ლორდი კელვინი (1824-1907) კელვინის სკალა, რომელიც ძირითადად სამეცნიერო დანიშნულებით გამოიყენება აბსოლუტურ ნულს აღნიშნავს 273 გრადუს ჩ-ზე.

1834 წელს უილიამ ტომსონი შევიდა გლაზგოს უნივერსიტეტში. 1852-1859 წლებში ჯეიმს ჯოულთან ერთად აღწერა „ჯოულ-ტომსონის ეფექტი“. 1858 წელს დააპატენტა ტელეგრაფის „რესივერი“ (გადამცემი), რომელსაც დარქვა „სარკისებრი გალვანომეტრი“ წყალქვეშა კაბელებისათვის. 1892 წელს ტომსონი გახდა ლორდთა პალატის წევრი, ლორდ კელვინის სახელით.

„ჯოულ-ტომსონის ეფექტის“ მიხედვით აირების უმეტესობა კარგავს ტემპერატურას გავრცელებისას (წვრილი მილებიდან, მაგალითად ჩიდნის ცხვირიდან გამოსვლისას,), რაც დაკავშირებულია მოლეკულების გაბნევასთან..

ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მაცივრების ინდუსტრიის განვითარებისთვის საუკუნის ბოლოს.

ტომსონი, როგორც სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანი, დაკავებული იყო გეოფიზიკური საკითხებით დინებების შესახებ, ასევე დედამიწის ფორმით, ატმოსფერული ელექტრობით, მიწის თერმული კვლევებით, დედამიწის ბრუნვითა და

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: რობერტ სტურუა; სტალინის დედა – კეკე; ჟარგონული შეძახილი – ავოიე; სისხლის შემადგენელი ნაწილი – როე; მტაცებელი ფრინველი – ორბი; უბანი თბილისში – დელისი; ამერიკელი მწერალი – პო; ადმინისტრაციული ცენტრი გერმანიაში – ბადენვიურტემბერგი; ივანე ყირიმელაშვილის ფსევდონიმი – კულა გლდანელი; ბრტყელი ქვა – ფილა; დათვის სახეობა – კუალა; შვედი ჩოგბურთელი – ედბერგი; მატარებლების გარაჟი – დეპო; ერთგვარი ნამცხვარი – რულეტი; მანქანის ბრეზენტის სახურავი – ტენტი; სახელმწიფო კუნძულ ცეილონზე – შრილანკა; ადვილი – იოლი; გოჭი მეგრულად – თუ; ორიგინალის ასლი – პატენტი; ავსტრიული ფული – შილინგი; გამოსაცნობი სიტყვა – რებუსი; მაშველი სიგნალი – სოს; ტყის მხალეული – ეკალა; ტბა საქართველოში – შაორი; მოძველებული კანონის გაუქმება – აბრობაცია; ნახატი – ტილო; კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში – ინგლისი; ბალზაკის სახელი – ონორე; რუსის შემცველი ქართული გვარი – რუსია; ხელშეუხებლობა – ტაბუ; ტუნგის სახეობა – კორდატა; ცხოველთა მეფე – ლომი; წამყვანი ბალერინა – პრიმა; რუსული ავტომობილი – ოკა; ჭაობის მცენარე – ლოტოსი; მდინარე რუსეთში – დონი; მამაკაცის სახელი – ილია; ცნობილი ტელეწამყვანი – ფაცაცია; ღვთის სახლი – ეკლესია; კერძის შესაკმაზი – სუნელი.

უმცროს და უფროს თაობებს შორის აზრთა სხვადასხვაობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველს მხედველობიდან არ გამოპარვია საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები, რომლებიც განაპირობებენ თაობებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობას.

თაობებს შორის შეხედულებათა სხვადასხვაობა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის თითქმის დასაწყისიდანვე იჩენს თავს. ამის მიზეზი ის არის, რომ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება იწვევს ახალ თაობაში ახალი შეხედულებების აღმოცენებას, რაც უპირისპირდება ძველ, გაბატონებულ შეხედულებებს, რაც ზოგჯერ იწვევს კონფლიქტურ სიტუაციებს. ამის მაგალითია როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობის შემდეგ დატრიალებული ტრაგედია, რაც როსტევან მეფემ ღვთის რისხვად ჩათვალა:

„ბრძანა, ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,

ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება.“

(სტრ. 99, ტაეპი - 1,2)

როცა როსტევან მეფე თავის რეზიდენციაში დაბრუნდა, მან მიიხმო თინათინი, აცნობა ნადირობის შემდგომ ტრაგედიაზე და განუცხადა, რომ ღმერთმა დასაჯა:

„უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი, აქამდის მე მხიარული.“

(სტრ. 111, ტაეპი - 4)

თინათინმა არ გაიზიარა როსტევან მეფის აზრი:

„ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:

ჰე მეფეო! რად ეძღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?

რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხელსა?

ბოროტიმცა რად შეეჭნა კეთილსა შემოქმედსა?!“

სტრ. 113)

თინათინმა ურჩია მამას, გაეგზავნა მონები ყველა მიმართულებით უცხო მოყმის საძებრად. დაგზავნილმა მონებმა ერთი წელი უშედეგოდ ეძებეს; როსტევან მეფე დაშშვიდდა, რადგან ნადირობის შემდგომი ტრაგედია ეშმაკის საქმედ ჩათვალა. მაგრამ თინათინი არ დაშშვიდებულა, რადგან უცხო მოყმეში უსამართლოდ გაუბედურებული პიროვნება დაინახა.

„უცხო მოყმის“ ერთწლიანმა ძებნამ შედეგი რომ არ გამოიღო, თინათინმა მოიხმო ავთანდილი და მას დაავალა უცხო მოყმის, ანუ ტარიელის მოძებნა.

საშწლიანმა ძებნა შედეგი გამოიღო. იგი აღმოჩნდა ინდოეთის ტახტის მემკვიდრე, რომელსაც მისმა გამზრდელმა წაართვა ტახტის მემკვიდრეობა, რასაც მოჰყვა ნესტანის მამიდის შურისძიება ნესტანზე — მან ნესტანი ქაჯებს გაატანა დასაკარგავად. ტარიელის მიერ ნესტანის ძებნამ შედეგი არ გამოიღო. ამის გამო, იგი მოწყდა საზოგადოებას. მას აღარ სიამოვნებდა ადამიანებთან შეხვედრა. ასმათის რჩევით, ტარიელმა მიიღო ავთანდილი და მას მოუთხრო მისი თავგადასავალი.

ავთანდილმა ფიცი დადო ტარიელთან, რომ იგი დაბრუნდებოდა მასთან და დაეხმარებოდა ნესტანის მოძებნაში:

„რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო,

მეცა ფიცით შეგოჯერო, არასათვის არ გაგწირო.

კელა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო.

ღმერთსა უნდეს, ვისთვის კვდები, მისთვის ეგრე არ გატირო.“

(სტრ. 665)

ავთანდილი დაბრუნდა არაბეთში. მაგრამ მისი დაბრუნება ტარიელთან დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. თინათინი დაეთანხმა და კიდეც მოუწონა ავთანდილს ეს განზრახვა:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.

ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადან მეფისათვის სიყვარული ეშმაკის ბადეა:

„აწ თავმან ჩემმან მს მოგკლავ ჩემად დად ჩემად მდელსა,

მე ღმერთისა ვუთხარ, დაუბამს მს ეშმაკისა ბადესა!“

(სტრ. 574, ტაეპი - 1,2)

„ვეფხისტყაოსნიდან“ ცნობილია, რომ ფარსადან მეფემ იცოდა ნესტანისა და ტარიელი სიყვარულის შესახებ. ეს ფარსადან მეფემ განაცხადა „როცა ნესტანის დაუკითხავად სასიძოდ მიიწვია. ხვარაზმის მეფის შვილის მკვლელობა რომ გაიგო თქვა:

„მეფე ბრძანებს: ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან:

მს უყვარდა ქალი ჩემი, სისხლი ველთა მოულვრიან,

რა ნახიან ერთმანეთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან.“

(სტრ. 573, ტაეპი - 2,2,4)

ფარსადან მეფემ ტარიელისა და ნესტანის სიყვარული თავის დას დავარს გადააბარა. სინამდვილეში დავარს ამაში არავითარი წვლილი არ მუეძღოდა. ამას თვით დავარის სიტყვები მოწმობენ:

„როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე,

ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?“

ამრიგად, დავარის შეხედულებით, სიყვარული როსკიპობა და გაყვნილებაა. მან ნესტანზე შური იძია. ამისთვის მისმა ძმამ ფარსადან მეფემ მისი სიკვდილით დასჯა განიზრახა.

ახლა განვიხილოთ ხვარაზმშას მკვლელობის შემდეგ ფარსადან მეფის შემონათვალი ტარიელისადმი და ტარიელის პასუხი. ფარსადან მეფემ ასე შეუთვალა ტარიელს:

„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამდებინე?

თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა გამგებინე?“

(სტრ. 562, ტაეპი - 1,2)

ამ შემონათვალით ფარსადან მეფემ თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო — მან ხომ საჯაროდ განაცხადა სულ რაღაც რამდენიმე საათის უკან: მს უყვარდა ჩემი ქალიო. ამაზე ტარიელმა ისე უპასუხა, როგორც ნესტანმა დაარიგა:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა, ვერა

ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა

ჩემია მკვიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა.“

(სტრ, 544, ტაეპი - 1,2,3).

„ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომა,

ამით უფრო მოგეცემის სიმართლისა შენ მოხდომა;

ქმნას მეფემან ყელ-მოტეხით შემოხვეწა შემოკვდომა,

ხელთა მოგცეს თავი ჩემი, შეგვფეროდეს ერთგან სხდომა.“

(სტრ, 545)

ეს ასეც მოხდებოდა, გაბოროტებულ დავარს ნესტანზე შური რომ არ ეძია.

ტარიელმა ფარსადან მეფეს სამართლიანი პასუხი გასცა, მაგრამ პასუხი დაგვიანებული იყო — ნესტანი ქაჯებს უკვე წაყვანილი ჰყავდათ. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როცა განვიხილავთ პერსონაჟთა შეცდომებს.

საჭიროა აღინიშნოს: თუ ინდოეთში თაობათა შორის დაპირისპირებამ ბოროტება მოიტანა — ნესტანის დაკარგვა და ტარიელის გაუბედურება, არაბეთში არამარტო არაბებს მოუტანა სიკეთე, არამედ ინდოეთსაც, რასაც მოჰყვა ნესტანის ქაჯეთის ციხიდან დახსნა და ინდოეთის განთავისუფლება ხატაელთა ოკუპაციისაგან.

ვახტანგ ჩხარტიშვილი

ყურადღება!

მ/წ 22 ივნისიდან სს „საქართველოს რკინიგზა“, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სთავაზობს კომფორტულ და შეღავათიან მგზავრობას ელმატარებლით ურეკი- ლანჩხუთი- სამტრედია-ქუთაისის მიმართულებით. მგზავრობის ღირებულება შეადგენს 1,8 ლარი, მატარებლის გასვლის დრო 08:05 სთ ყოველდღიურად.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ოზურგეთის მგზავრთა სერვისცენტრის საბილეთო სალაროს. ტ. 591–19–11–64.

იყიდება

ყველაზე კეთილმოწყობილი სახლი ოზურგეთში.
ტელ. 593 956183.

— 90 კვ.მ კომერციული ფართი ოზურგეთში.
ტელ. 593 956183.

იყიდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში იყიდება 3000 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის საყანე ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 551 53 07 27, იკითხეთ **რევაზ ნინიძე.**

ვმკურნალობ

მცენარეული წამლებით ვკურნავ და ვარჩენ **C**-ჰეპატიტს; პროსტატას; ბუასილს; თირკმელში კენჭის დაშლას; კუჭის წყლულს.

ტელ. 599 55 47 07

ხსოვნა

ნანა ჩხაიძე

არავინ იცის როდის და სად შეუწყდება საწუთროს გზასავალი, სად ჩნდება სიცოცხლის გზასაყარი. არც ნანა ელოდა, იმ დღეს, უკანასკნელად თუ მოეფერობოდა საკუთარ ოჯახს, მისთვის ჩვეული მზრუნველობით მოესათუთებოდა მისსავე ნაამაგარს, უკანასკნელად გამოიხურავდა სახლისა და ეზოს კარს და ყველა ის ჩანაფიქრი, რომელიც მის საყვარელ ადამიანებთან, საქმესთან აკავშირებდა და რომელიც მთლიანად მისი ცხოვრება იყო, მისივე გულის ფეთქვასთან ერთად შეწყდებოდა. უმძიმესი ხვედრი გარდაცვალებისა ერგო მას. სამსახურის საქმეზე მიმავალი, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა ურეკის გზაზე. მასთან ერთად დაიღუპა ერთერთი საუკეთესო ოზურგეთელი დემურ მეგრელიშვილი.

ნანა ჩხაიძე სოფელ მთისპირში დაიბადა, იქვე დაამთავრა სკოლა და პროფესიით ექთანი, წლების მანძილზე ოზურგეთის სანეპიდსადგურში მუშაობდა. უკვე რამდენიმე წელია იგი ჩვენი გაზეთის დისტრიბუტორი იყო. ღიმილიანი, მუდამ მოფუსფუსე, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის მქონე და რაც მთავარია სანდო პიროვნება, ასეთად გავიცანით ქ-ნი ნანა და ასეთად დარჩა იგი ჩვენს მეხსიერებაში. არა მხოლოდ ჩვენ, მისი გარდაცვალების გამო, გულისტკივილს გამოხატავს ყველა, ვინც იცნობდა რადგან ძნელია ადამიანთან ერთად დაკარგო ყველა ის დადებითი ემოცია, რომელიც მასთან გაკავშირებს და მისეულია მხოლოდ. დავკარგეთ კარგი თანამშრომელი, ღირსეული ქალბატონი, თავისი საქმის პროფესიონალი. დაკარგა ოჯახმა მზრუნველი, მოსიყვარულე მეუღლე, დედა, ბებია... ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

სააქციო საზოგადოება „იმედის“ თანამშრომლები იუწყებიან აქციონერ **ლიდა(კვაშა) ჯაშის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი **დემურ მეგრელიშვილის** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუბრძნობს განსვენებული ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი **ნანა ჩხაიძის** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბუკისციხელი გოგონა ამერიკასა და ამერიკულ სკოლაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხეში სტუმრად ყოფნისას „ალიონის“ ჟურნალისტებმა აღტაცებით ლამის ბუკს შემოვკარით, როცა აქაური მეთერთმეტე კლასის მოსწავლის მარინა კიკვაძის შთამბეჭდავი წარმატებების შესახებ შევიტყვეთ.

აფერუმ აქაურ პედაგოგებს, რომ ამ ძირისძირამდე ქართული კოლორიტული სოფლის სკოლა ნიჭიერთა სამჭედლოდ აქციეს!

როგორც ჩანს, მარინა კიკვაძე ამ ნიჭიერებშიც გამორჩეულია.

ფლექს-პროგრამის რამდენიმე კონკურსში გამარჯვებული ბუკისციხის საჯარო სკოლის მე-11 კლასელი გოგონა 11 ივლისს მოლდოვაში მიემგზავრება ერთთვიან შეკრებაზე, 15 აგვისტოს მიუნხენში გადაფრინდება, იქედან კი, ატლანტის ოკეანის გაღმა, მეგაქალაქ ნიუ-იორკში ამოჰყოფს თავს. იცხოვრებს ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში და ერთი წლის განმავლობაში ისწავლის რომელიმე ამერიკულ სკოლაში, შტატი ჯერჯერობით უცნობია.

რომ არა საოცარი შრომისმოყვარეობა, ნიჭი ნიჭად დარჩებოდა. სწორედ ამ ნიშნით გამოარჩევს სკოლის დირექტორი, ქალბატონი ციალა მახარაძე მარინა კიკვაძეს სხვა ნიჭიერი მოსწავლეებისაგან:

„მარინას მსგავსი მოსწავლეები თითზე ჩამოსათვლელი თუ არიან. ნიჭიერებას პლუს შრომისმოყვარეობა, პლუს სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა... ის ყველა ადამიანური ღირსებით არის გამორჩეული.

მარინას სხვა წარმატებებიც აქვს, მონაწილეობდა საფრანგეთში ნიჭიერ მოსწავლეთა ერთკვირიან შეკრებაზე, ანალოგიურ შეკრებაზე თავისი სიტყვა თქვა თბილისშიც. არის სატელევიზიო პროგრამა „ეტალონის“ ფინალისტი, მხოლოდ ერთი ქულით დათმო ფინალი დაბა ჩოხატაურის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-12 კლასელთან... მარინა მოსწავლის იდეალია. დარწმუნებული ვარ, ის ანალოგიურ წარმატებებს მიაღწევს ამერიკაში. ბუკისციხის საჯარო სკოლა ამაყობს მისი წარმატებებით“.

მოკრძალებული აღმოჩნდა თავის კომენტარში მარინას დედა, ქალბატონი ნათია ხუცურაული-კიკვაძისა:

„აბა, რა გითხრათ? პირველ რიგში, მადლობა, რომ ჩემი შვილით დაინტერესდით. უფალმა მაჩუქა მარინა ისეთი, როგორიც არის — თბილი, მეგობრული, ნიჭიერი, მუყაითი, ხალისიანი, ყურადღებიანი. ბედნიერი დედა ვარ ნამდვილად.“

ბუნებრივია, ანალოგიურ სიხარულს განიცდის მარინას მამა, ბატონი ავთანდილ კიკვაძეც, ვისთანაც ვერ მოვახერხეთ გასაუბრება იმ დღეს.

მხოლოდ ოზურგეთში დაბრუნებულებმა შევიტყვეთ, რომ მარინა კიკვაძე ბატონი ამბროსი (დუხუ) კიკვაძის შვილიშვილი ყოფილა. დუხუს კაიკაცობით კი დიდხანს, დიდხანს იამაყებს არა მარტო მისი შთამომავლობა, არამედ მთელი კიკვაძეების საგვარეულო. კარგი ნათქვამია კვიცი გვარზე ხტისო. ხალხი მართლა ბრძენია, ხალხმა იცის, რა უნდა თქვას.

წარმატებებს ვუსურვებთ პატარა მარინა კიკვაძეს დიდ ამერიკაში.

14 მაკვანეთელი ბავშვი წელს სკოლის კარებს შეაღებს

ალიონი. თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ რამდენიმე დღით გადასწია სასავშო ბაღებში გამოსაშვები ღონისძიებები. კვირის ბოლოს სოფ. მაკვანეთის სასავშო ბაღში ამ ბაღის აღსაზრდელები წარდგნენ მასწავლებლების და მოწვეული სტუმრების წინაშე.

სტუმართა შორის იმყოფებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაია, გამგებლის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის განათლების სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი მაიზერ ცელაძე, დეპუტატი ნუგზარ კალანდარიშვილი, სოფლის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი ავთანდილ მექვაბიშვილი, მუნიციპალიტეტის პრესსამსახურები.

მაკვანეთელები რომ სიმღერაში მაგრები არიან, ეს ამ დღესაც დამტკიცდა. ნიჭი გენებში განფენილი — იხილეს პატარების ღონისძიების მსმენელებმა.

რაც მთავარია, რაც მოვისმინეთ ყველაზე გასახარი ის იყო, რომ სოფელში შობადობა იზრდება და მომავალში შესაძლოა მაკვანეთის ბაღში ჯგუფების დამატებაც კი გახდეს საჭირო.

წელს, სექტემბერში კი ამ ბაღის (მენეჯერი ნინო კალანდარიშვილი, მასწავლებლები ნანა ანთიძე, ხათუნა წივწივაძე; მუსიკის მასწავლებელი ლია კალანდარიშვილი). 14 აღზრდილი ანდრია ბაბილოძე, გიორგი, ნიკოლოზ აბაშმაძეები, მარიამ გაბედავა, ანა ბოლქვაძე, ბარბარე შარადენიძე, ნანა ხინთიბიძე, გიორგი თიკანაძე, შოთა ოქრომელიძე, ლიზი ჭანუყვაძე, ალექსანდრე აბაშმაძე, ეთო გულხადარაშვილი, ანა ნაცვალაძე, ქეთევან მელუა შეაღებენ მაკვანეთის საჯარო სკოლის კარებს.

ბაღის მენეჯერმა ნინო კალანდარიშვილმა გვითხრა, რომ ამ ბაღს დიდ დახმარებას უწევენ ქ. თბილისში მცხოვრები დები მედეა, ნათია, თამუნა ბაბილოძეები. მათ იქ სათამაშოების ბიზნესი აქვთ და უკვე 4 წელია მაკვანეთელ ბავშვებს ხარისხიან სათამაშოებს არ აკლებენ.

დიდი მეიარაღენი

ბრუნო ჩივოლანი

საკეტის ინერციაზე დაფუძნებული ავტომატიკა ჯერ კიდევ „ოქროს ხანაში” იყო გამოგონებული. ასეთი მექანიზმით აღჭურვილი პირველი თოფი 1904 წელს იქნა გამოშვებული შვედი ინჟინერის აქსელ შიოგრენის მიერ (Axel Sjogren).

ამ თოფების გამოშვება შეწყდა 1914 წელს და შემდგომ აღარასოდეს აღდგენილა... ასე წავიდა ისტორიიდან ამ ტიპის პირველი იარაღი.

თუმცა საიარაღო ისტორია იცნობს ფაქტებს, როცა ამა თუ იმ მიზეზთა გამო, განვითარების გარკვეულ ფაზაში კვლავ უბრუნდებიან ძველ გამოგონებას და განავითარებენ მას...

ასე მოხდა ამჯერადაც. შიოგრენის გამოგონებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, კერძოდ 1965 წელს, საკეტის ინერციაზე დაფუძნებული ახალი მექანიზმი შექმნა ბრუნო ჩივოლანიმ, რითაც ინერციული მექანიზმის ახალი ერა დაიწყო.

ევროპასა და ამერიკაში გამოჩნდა ნახევარავტომატები, რომლებიც გამორჩეულნენ დახვეწილი ფორმებით, მექანიზმის სიმარტივითა და მაღალი ფუნქციონალურობით. ლოგიკურია, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ ნიჭიერი მეიარაღეების ოჯახში შეიძლებოდა დაბადებულიყო, ასეთი გახლდათ Benelli Armi. მაგრამ ამ თოფების დაბადებაში განსაკუთრებული როლი კონსტრუქტორ-გამმგონებელს ეკუთვნის.

ბრუნო ჩივოლანი დაიბადა 1922 წელს გლეხის ოჯახში სან ჯორჯო დი პიანოში. აქ გაატარა გამმგონებელმა ბავშვობა. აქვე წყალგაყვანილობის მილის ნაჭერიდან მან გააკეთა თავისი პირველი თოფი, რითაც ნადირობდა კიდეც. ერთ-ერთი ნადირობიდან დაბრუნებისას, ნანადირევით დახუნძლული ყმაწვილი გაჩერა პოლიციის ინსპექტორმა და თვითნაკეთი თოფი ჩამართვა.

1935 წელს ჩივოლანი საცხოვრებლად გადავიდა ბოლონიაში და მალევე 13 წლის ყმაწვილი იარაღის ოსტატის,



ორლანდო გრანდის შეგირდი გახდა. აქვე მოხდა მისი გაცნობა შიოგრენის ნაკეთობასთან, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება შეუქმნა. აქედან დაიწყო ყმაწვილმა ჩივოლანიმ ოცნება: შეექმნა უფრო თანამედროვე და გამართული კონსტრუქცია.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისს 17 წლის ჩივოლანი შეხვდა მექანიკურ ქარხნის მუშის სტატუსით, სადაც იწარმოებოდა სამხედრო დანიშნულების პროდუქცია. ომის დასრულების შემდეგ მომავალი გამმგონებელი რკინის ნაკეთობათა პატარა საამქროს ხსნის, სადაც იწყებს შიოგრენის მექანიზმის სრულყოფას. პროტოტიპისაგან განსხვავებით კალაპოტი და მექანიზმი სრულად დახურული დაამზადა. ეს განაპირობებდა ფორმებისა და კინემატიკური სტრუქტურის სრულყოფას, აქვე საჭირო იყო ფოლადის მარკების შესაბამისი შერჩევა და ა.შ.

ხუთწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად მიღებულ იქნა მექანიზმის პირველი პროტოტიპი AUTOMATICO. B. CIVOLANI, რომელიც ჩაიდვა მოდელში Montefeltro. კიდევ 5 წლის შემდეგ შეიქმნა მოდელი Raffaello–Automatico. B. ჩივოლანი(მექანიზმი დაპატენტდა 1966 წელს).

ბრუნო ჩივოლანის წინადადება, მისი გამოგონება წარმოებაში აღოთ, უარყოფილი იქნა რამდენიმე საწარმოს მიერ; არავის უნდოდა გაეწია რისკი და სასწორზე შეეგდოთ იმიჯი, რადგან ბრაუნინგის სისტემა(ლულის ინერციაზე) აპრობირებულ-რეკლამირებული გახლდათ. გარდა ამისა არსებობდა მექანიზმები უკუქცეულ გაზებზეც...

სწორედ აქ გამოიჩინეს შესაშური ალღო ძმებმა ბენელებმა და გარისკეს... როგორც შემდგომმა ისტორიამ აჩვენა— ძალიან წარმატებით!!! 1969 წელს ბენელების ახალმა საწარმომ გამოუშვა მოდელი 121.

ბრუნო ჩივოლანის შემდგომი მუშაობა და დახვეწა არ შეუწყვეტია. 1978 წელს გამოვიდა ახალ მოდელთა სერია SL 80. მოდელები 122, 123, Special 80, Extra Lusso და სხვები.

ბენელის თოფების ცნობადობა სწრაფად სცილდება ევროპის ფარგლებს და მალე ხდება მსოფლიო ბრენდი, მოდელს მოდელი მოყვება...

1997 წელს ბრუნო ჩივოლანის ვაჟიშვილი დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად(იარაღი გაუვარდა). ეს უდიდესი ტრაგედია იყო გამმგონებლის ცხოვრებაში, თუმცა ცხოვრება გძელდება და ბრუნო გარკვეული დროის შემდეგ მაინც დაუბრუნდა შემოქმედებით ცხოვრებას.

შეიქმნა მოდელები Benelli M 4 S 90, Breda Xanthos da სხვები.

ბრუნოს „ვედის სიმღერა" გახდა მოდელი Xanthos, რომელიც ჩაეშვა კომპანია ბრედას წარმოებაში... დიდი მეიარაღე გარდაიცვალა 2 წლის შემდეგ, რაც Xanthos-მა დღის სინათლე იხილა(2008 წელს).

მოდელი Xanthos_ დიდი მეიარაღის „ვედის სიმღერა"

თოფების გარდა ბრუნოს წვლილი დევს “ბენელისა” და “ფიორჩის” პისტოლეტების მექანიზმებშიც...

მუშაობისას უბედური შემთხვევის შედეგად გამმგონებელმა დაკარგა მარცხენა ხელის სამი თითი და შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა ძალისხმევა დასჭირდებოდა გამმგონებელს ხარატის, ამწყობის და სხვა სამუშაოთა შესრულებისას (ყველა ამ სამუშაოს თავად ასრულებდა).

მოამზადა
გელა ჩავლეიშვილმა

* გაგრძელება

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +19+24	წვიმა +19+24	წვიმა +18+23	მზე, ღრუბელი +18+20	ჭექა-ქუხილი, +20+23	მზე, ღრუბელი +19+24	წვიმა +18+24
22 ივნისი	23 ივნისი	24 ივნისი	25 ივნისი	26 ივნისი	27 ივნისი	28 ივნისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა